პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 96
(6657)

18 1980 წ.
მაისი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

● თავისუფალი ჭიდაობა

გამოცდილ ოსტატთა უპირატესობით

მოსკოვში, „დინამოს“ სპორტის სასახლის ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა უკვე გაარკვიეს ურთიერთობანი 3 წონით კატეგორიაში.

ყველაზე მსუბუქი (48 კგ-მდე) წონის ფალავანთა შეჯიბრების ფინალში გავიდნენ მოსკოველები — მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი რ. დმიტრიევი და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ს. კორნილაევი. მათი შერკინება, რომელიც მწვავედ მიმდინარეობდა, დამთავრდა დმიტრიევის გამარჯვებით—6:5. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ვილნიუსელ ი. ზირიანოვს.

დაძაბულ, უკომპრომისო ბრძოლაში ჩატარდა მახაჩყალელი მ. აბუშევისა (62 კგ-მდე) და ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონის ტ. ხატაგოვის ფინალური შეხვედრაც, რომელიც ფრედ — 4:4 დამთავრდა. ჩემპიონი გახდა ხატაგოვი, რადგან მას მეტი ტექნიკური ილეთი ჰქონდა ჩატარებული. მესამე ადგილი დაიკავა ვ. იუმინმა (მახაჩყალა).

გ. კენკაძე (თბილისი, ასკ) V ადგილზე გავიდა.

90 კგ-მდე წონითი კატეგორიის ათლეტთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა მოსკოველმა ა. პროკოპჩუკმა. II იყო აგრეთვე მოსკოველი ს. ოჰანისიანი, III — გროზნოელი პ. ორცუევი.

გ. ყურაშვილი (სოხუმი, „კოლმეურნე“) VII იყო.

გუშინ დილით გამართეს შეხვედრები 52, 57, 68, 74, 82, 100 კგ-მდე და 100 კგ-ს ზევით წონის მოჭიდავეებმა.

თბილისელი არმიელი ვ. კოტორაშვილი (68 კგ) მეორე წრეში ქულებით დამარცხდა, ხოლო მესამეში — წმინდად და ასპარეზობას გამოეთიშა. სამაგიეროდ, ჩინებულად იასპარეზა დ. გიგაურმა (თბილისი, „ბურევესტნიკი“). მან ჯერ ქულებით სძლია ბაქოელ პაირდაბეკოვს, შემდეგ 32 წამში წმინდად მოუგო ფრუნზელ მიშეროვს. გიგაური 1 საჯარიმო ქულით ასპარეზობას აგრძელებს.

74 კგ წონით კატეგორიის ათლეტთა შორის ბრძოლას გამოეთიშა ო. ყაჰაშვილი (თბილისი, ასკ), რომელიც VI წრეში ქულებით დამარცხდა მოსკოველ კორაევთან. ასევე ქულებით დამარცხდა გ. მაკასარაშვილიც (თბილისი, „ბურევესტნიკი“) კიეველ პინიგინთან, მაგრამ ბრინჯაოს მედალი მას გარანტირებული აქვს.

წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი წარმომადგენლები 82 კგ წონაში — თ. საჯაია (თბილისი, „დინამო“) და გორელი ვ. მოდოსიანი — სამი წრის შემდეგ მათ შეჯიბრება დაამთავრეს.

100 კგ წონის კატეგორიაში ლ. თედიაშვილმა (თბილისი, „დინამო“) 35 წამში დაამარცხა რ. ხუტაბა (სოხუმი, „კოლმეურნე“).

გუშინ, გვიან ცნობილი გახდნენ პრიზიორები 3 წონაში. **52 კგ.** ა. ბელოგლაზოვი (კიევი), ა. კეჰნერი (ნოვოსიბირსკი), დ. ბიჭიევი (ყარაგანდა); **74 კგ.** ე. კორაევი (მოსკოვი), პ. პინიგინი (კიევი), გ. მაკასარაშვილი (თბილისი); **100 კგ.** ი. მატე (დონეცკი), ლ. თედიაშვილი (თბილისი), ი. იარიგინი (კრასნოიარსკი).

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების სპარტაკიადა

გაიმარჯვა... 20 წამში!

დასასრულს უახლოვდება საქართველოს პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების ნაკრები გუნდების სპარტაკიადა. შეჯიბრების შედეგები შეაჯამეს ქართულ ჭიდაობაში.

გუნდები ექვსივე საზოგადოებამ გამოიყვანა. ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა „კოლმეურნე“, რომლის სპორტსმენებმა 8-წონითი კატეგორიიდან 4-ში ჩემპიონობა, ხოლო სამში III ადგილები მოიპოვეს. მათ 74 ქულა მოაგროვეს და 4 ქულით ჩამოიტოვეს მეორე ადგილზე გასული „განთიადი“.

ამ უკანასკნელთა პირად ანგარიშზე მოდის ცალკეულ წონებში 4 გამარჯვება და ერთი II ადგილი. გუნდურ ჩათვლაში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: „სპარტაკი“ — 59 ქულა, „ბურევესტნიკი“ — 57, „ლოკომოტივი“ — 28, „ვოდნიკი“ — 18.

„ლოკომოტივსა“ და „ვოდნიკს“ ალბათ უფრო მეტი ქულები ექნებოდათ, რომ მათ მთლიანად დაკომპლექტებული ნაკრებები გამოეყვანათ სასპარეზოდ: „ლოკომოტივს“ არ ჰყავდა მოჭიდავეები 60 და 87 კგ წონაში, ხოლო „ვოდნიკს“ — 56, 60 და 68-ში. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ბევრ გუნდში თავიანთი კოლექტივების ინტერესებს იცავდნენ სპორტის ოსტატები... სხვა სახეობებში, ნათელი გახდება, რომ ქართული ჭიდაობის განვითარებას სპორტსაზოგადოებების უმეტესობა სათანადო ყურადღებას არ უთმობს.

პირად პირველობაში რამდენიმე საინტერესო ორთაბრძოლა შედგა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა 68 კგ წონის ა. კახიტაევს („კოლმეურნე“), რომელმაც თავისებური რეკორდი დაამყარა: ტურნირი ისე დაამთავრა, რომ მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულა მიიღო. მან ჯერ 55 წამში დადო ბეჭებზე განთიადელი მ. ღვინიაშვილი, მერე კი თ. კურდღელაშვილი („ბურევესტნიკი“) 31 წამში წააქცია.

აღსანიშნავია, რომ ს. ჯინორიძემ („კოლმეურნე“) 30 წამში მოუგო რკინიგზელ შ. ნებიერიძეს, ხოლო სპარტაკელმა ა. ოთინაშვილმა ასევე ნახევარ წუთში სძლია თ. შავაძეს („ვოდნიკი“). 87 კგ წონითი კატეგორიის პირველთანრიგოსანმა ვ. შუბითიძემ („განთიადი“) ო. შერაზადიშვილი („სპარტაკი“) სულ რაღაც 20 წამში დაამარცხა.

ტექნიკური შედეგები:

56 კგ. მ. მაზმიშვილი („განთიადი“), ვ. ტუაევი („სპარტაკი“), ვ. ვეფხიშვილი („კოლმეურნე“).

60 კგ. მ. ბითაძე („განთიადი“), ი. იმერლიშვილი („ბურევესტნიკი“), შ. კაციაშვილი („კოლმეურნე“).

64 კგ. თ. მჭედლიშვილი („კოლმეურნე“), მ. ჩუტკერაშვილი („განთიადი“), მ. ელბაქიძე („სპარტაკი“).

68 კგ. ა. კახიტაევი („კოლმეურნე“), თ. კურდღელაშვილი („ბურევესტნიკი“), ზ. ბახტაძე („სპარტაკი“).

73 კგ. ს. ჯინორიძე („კოლმეურნე“), მ. ჯალალი („სპარტაკი“), გ. თენაძე („ბურევესტნიკი“).

79 კგ. ჯ. კაპანაძე („განთიადი“), მ. ტიელიძე („ბურევესტნიკი“), ა. ოთინაშვილი („სპარტაკი“).

87 კგ. ვ. შუბითიძე („განთიადი“), ჯ. მჭედლიშვილი („ბურევესტნიკი“), გ. ყარაულაშვილი („კოლმეურნე“).

87-კგ-ს ზევით. ო. ყურაშვილი („კოლმეურნე“), გ. კობოძე („სპარტაკი“), კ. ხარაზიშვილი („ლოკომოტივი“).

ო. ივდოშვილი.



●

გუშინ თბილისში, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის საფარიკაო დარბაზში დამთავრდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფარიკაობაში. ეს სურათი ასპარეზობის დაწყების დღესაა გადაღებული. თქვენ ხედავთ მარცხნიდან — ვ. ხელაძისა („კოლმეურნე“) და გ. ჯილაურის („ბურევესტნიკი“) ორთაბრძოლის მომენტს.

ე. ხუცურაულის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თბილისის საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში

□

ორი გუნდის მოლოდინში

ეს ტურნირი ფრიად დიდ ინტერესს იწვევს. სანახაობრივ მხარეს რომ თავი დავანებოთ, პაექრობები სხვა მხრივაც ყურადღების ღირსია. კერძოდ, იმ 12 გუნდიდან, რომლებმაც მოსკოვის ოლიმპიური თამაშების საგზურები მოიპოვეს, თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში 4 ნაკრები იბრძოლებს გამარჯვებისათვის. ესენია სსრ კავშირის, რუმინეთის, ბულგარეთისა და კუბის გუნდები.

იმის გამო, რომ ასპარეზობის პირველ დღეს რუმინეთისა და კუბის სპორტსმენებმა თბილისში ჩამოსვლა დააგვიანეს, მასპინძლებმა გადაწყვიტეს ამ დღეს სსრ კავშირის პირველ და მეორე ნაკრებთან ერთად მესამეც გამოეყვანათ. ეს ორი უკანასკნელი კოლექტივი ფაქტიურად თბილისის „დინამოს“ წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული. მათი შეხვედრა მეორე ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა — 10:3.

ბუნებრივია, ამ დღეს ცენტრალური თამაში სსრ კავშირისა და ბულგარეთის წყალბურთელთა მატჩი იყო. მართალია, საბჭოთა სპორტსმენებმა დამაჯერებელი ანგარიშით — 9:5 მოიგეს, მაგრამ ჩვენი აზრით, მათ შეხვედრა, ცოტა არ იყოს, ზედმეტი სიფრთხილით ჩაატარეს. ეს, უპირველეს ყოვლისა, პირველ სამ პერიოდზე ითქმის, რომლებმაც თითქმის თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. საბჭოთა სპორტსმენებმა უკანასკნელ პერიოდში კი შედარებით გაბედულად და საინტერესოდ ითამაშეს. აქ გაცილებით თვალნათლივ გამოჩნდა ჩვენების უპირატესობა. მათგან ყველაზე შედეგიანი კოტენკო აღმოჩნდა, რომელმაც 4-ჯერ აიღო მეტოქის კარი. მის გარდა საბჭოთა წყალბურთელთაგან ბურთები გაიტანეს: კაბანოვმა, ბარკალოვმა, გრიშინმა, შაგაევმა და მშვენიერაძემ.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშეს, აგრეთვე, შარონოვმა, აკიმოვმა, რისმანმა, ივანოვმა და ისელიძემ.

დღეს გაიმართება მორიგი შეხვედრები. ბრძოლაში ჩაებმებიან რუმინეთისა და კუბის წყალბურთელები. ასპარეზობა 17 საათზე დაიწყება.

ა. გურასაშვილი.

„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური...

სტარტზეა მუშათა კლასის ცვლა

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს სსრ პროფტექგანათლების სისტემის მოსწავლეთა XXXI რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება.

სპარტაკიადის მონაწილეებს საქართველოს სპორტკომიტეტისა და „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს სახელით მიესალმა საქართველოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქ. **მიქიაშვილი:**

დიდი სპორტული ტრადიციების მქონეა „შრომითი რეზერვები“. ამ საზოგადოების აღზრდილმა მრავალმა სახელოვანმა სპორტსმენმა ჩაწერა თავისი სიტყვა ქართული სპორტის მატიანეში. ვის არ ახსოვს მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ცნობილი მოჭიდავე მ. ცალქალამანიძე, შესანიშნავმა ფეხბურთელმა მ. მესხმაც ხომ „შრომითი რეზერვების“ ფეხბურთის მოედანზე აიდგა ფეხი....

არც დღევანდელი ახალი თაობა ღალატობს ვეტერანთა ტრადიციებს: ორი წელია საქართველოს „შრომითი რეზერვები“ ზედიზედ ჯილდოვდება ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშით.

მიმდინარე წლის თებერვალში ჩატარდა XXXI რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრებები სპორტის 10 სახეობაში. და აი, სწორედ ამ ტურნირებში გამარჯვებულთ ხვდათ წილად ფინალში ასპარეზობის პატივი...

საზეიმოდ მორთულ სტადიონზე ალამი აღმართეს საზოგადოების უძლიერესმა სპორტსმენებმა — თ. ყაზარაშვილმა, ფ. ფირანიშვილმა, ა. სხირტლაძემ, ზ. ნიკოლაიშვილმა, ნ. კალინინმა, ი. ზიმენკოვმა.

დაიწყო საჩვენებელი გამოსვლები. მხატვრულ ტანმოვარჯიშე გოგონებს აკრობატები ცვლიან, აკრობატებს — ველოსიპედისტები.

დასასრულს მოეწყო ფეხბურთის მატჩი ქუთაისის 33-ე და თბილისის 110-ე სასწავლებლების გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ქუთაისელმა ფეხბურთელებმა — 7:1.

მ. გედიაშვილი.

● წყალში ხტომა

საფუძვლიანი პრეტენზია

თბილისი ზედიზედ მეორედ მასპინძლობს პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების საკავშირო პირად-გუნდურ ასპარეზობას, რომელიც საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში მიმდინარეობს. პირველობისათვის 13 გუნდის წყალში მხტომელები იბრძვიან, მათ შორის თბილისის „განთიადის“ სპორტსმენებიც.

შეგახსენებთ, რომ განთიადელებმა შარშან ყველას აჯობეს და თასიც მოიპოვეს. როგორც ჩანს, თასი ახლაც თბილისში დაიდებს ბინას: სამი დღის პაექრობის შემდეგ, გუშინდელი შედეგების გათვალისწინებით, ისინი 53 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში არიან. 32-32 ქულით II-III ადგილებს „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოსა და ელექტროსტალის „ფიზკულტურა და სპორტის“ წყალში მხტომელები იყოფენ.

საქართველოს წარმომადგენელთაგან განსაკუთრებით კარგად გამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი ლ. ცოტაძე, რომელმაც ქალთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში II ადგილი დაიკავა — 428,76 ქულა. აქ საუკეთესო იყო ქ. ციოლნიკოვა (კიევის „ავანგარდი“) — 449,02, ხოლო III ადგილი წილად ხვდა ი. აფანასენკოს („სპარტაკი“) — 398,00.

ამის შემდეგ ლიანა „თავის“ სახეობაში — კოშკიდან ხტომაშიც გამოვიდა და ყველას აჯობა — 377,73. მეორე იყო ა. სარქისიანი (ერევნის „ამხატანკი“)— 367,14 ქ, ხოლო III ადგილი კვლავ განთიადელ სპორტსმენს, თბილისის 51-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ლ. ღონღაძეს ხვდა წილად — 342,60.

შეჯიბრება დაამთავრეს 3-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელმა ვაჟებმაც. თანაგუნდელ გოგონებს კარგად აუბა მხარი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ს. შალიბაშვილმა, რომელმაც III ადგილი დაიკავა — 509,82. აქ ყველას აჯობა ს. ქელანოვმა („ფიზკულტურა და სპორტი“) — 532,29. მეორე იყო ა. კოპილოვი (ჩელიაბინსკის „ტრუდი“) — 530,05.

დღეს შეჯიბრების უკანასკნელი დღეა (დასაწყისი — 11 ს.). სარბიელზე კოშკიდან მხტომელი ვაჟები გამოვლენ. აქ გამარჯვების პრეტენდენტად ს. შალიბაშვილი ითვლება და, იმედია, მოლოდინსაც გაამართლებს.

ა. რაჭველიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური პანორამა

მოსკოვის XXII ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 62 დღე!

გავუფრთხილდეთ ოლიმპიურ იდეალებს

ვენა. „დარწმუნებული ვარ, რომ ავსტრიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 19 მაისს დაგეგმილი გენერალური კონფერენცია ხმის უმრავლესობით მიიღებს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გადაწყვეტილებას, — გაზეთ „არბაიტერ-ცაიტუნგში" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა ავსტრიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა კ. ჰელერმა. — ჩემი მრავალრიცხოვანი შეხვედრებიდან და კონტაქტებიდან გამომდინარე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ თითქმის ყველა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს და პირველ რიგში თვით სპორტსმენებს სურთ „ოლიმპიადა-80"-ში ასპარეზობა.

რა თქმა უნდა, — აღნიშნა მან, — ცალკეული ქვეყნების მთავრობათა პოზიცია გავლენას მოახდენს იმაზე, რომ ზოგიერთი სახელმწიფო არ იქნება წარმოდგენილი მოსკოვში. ეს კი თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს მსოფლიოს სპორტულ მოძრაობაზე. ამჟამად ცოტა რამ შემორჩა პიერ დე კუბერტენის ოლიმპიური იდეალებიდან, მაგრამ იმას, რაც დარჩა, აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ. მსოფლიოს სპორტული ახალგაზრდობა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იყრის თავს, ახალგაზრდებს შორის მყარდება მეგობრული დამოკიდებულება. გასათვალისწინებელია ის, რომ ზოგიერთისთვის თამაშებში მონაწილეობა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გამარჯვება. აღსანიშნავია ის, — თქვა კ. ჰელერმა, — რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანამშრომლობა სპორტის დარგში საერთო ჯამში ძალზე კარგია და „სამაშველო ზომებს" არ საჭიროებს". (საქდესი).

აღშფოთებას გამოთქვამენ

ბონი. გფრ-ის სპორტული საზოგადოებრიობა, ჩემპიონები და რეკორდსმენები, ქვეყნის პრესა უკმაყოფილებას გამოთქვამენ დიუსელდორფში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გამო.

— წყალში ჩამეყარა ოთხი წლის სამზადისი, — განაცხადა ევროპის ექს-ჩემპიონმა მოკრივე ჰანს მიულერმა. — აწი ალბათ, ასაკის გამო აღარასოდეს მომიწევს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა...

ცნობილმა მოფარიკავემ ე. ბორმანმა თქვა: „განსაკუთრებით აღმაშფოთა იმან, რომ სპორტსმენები ახლა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ და ამავე დროს მათ მცირეოდენი ხმის უფლებაც არა აქვთ. ჩემი თავი არასრულფასოვან მოქალაქედ მიმაჩნია".

როგორც ცნობილია, გფრ-ის სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობდნენ მოსკოვის ოლიმპიადის დასაცავად და მხარდასაჭერად გამართულ სხვადასხვა სახის კამპანიებში. „ოლიმპიადა ცხოვრობს" მოძრაობის ერთ-ერთი თაოსნის, მოცურავე ი. ბრუნის აზრით, ჩაქრა „იმედის ბოლო ნაპერწკალი". „ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას, — თქვა ბრუნმა, — სწავლების ერთი წელი შევწირე და გამოდის, რომ ფუჭად. ახალგაზრდობისთვის ვერაფერი შეცვლის ოლიმპიურ თამაშებს".

სპორტსმენებს მხარს უჭერენ მწვრთნელები, რომლებმაც ძალღონე არ დაიშურეს, რათა თავიანთი აღზრდილები კარგად გამოსულიყვნენ ოლიმპიურ შეჯიბრებებში. მათ ოლიმპიური ბოიკოტი უკიდურესად საშიშ მოვლენად მიაჩნიათ. „ისე ჩანს, თითქოს ბოიკოტი არის ვირუსი, რომელიც დამბლის გარკვეულ მოვლენებს იწვევს, მაგრამ მისი ნამდვილი საშიშროება ჯერ ცნობილი არ არის". — ასეთია გფრ-ის მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელის აზრი.

გფრ-ის სპორტული მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა ბ. ბარცმა განაცხადა: „სპორტისთვის ეს დღე ძალზე სამწუხაროა. ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას განხეთქილება შეაქვს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში".

გფრ-ის მძლეოსანთა ოლიმპიური ნაკრების ოფიციალურმა წარმომადგენელმა გ. ლორემ განაცხადა: „სულ სხვა წარმოდგენა მქონდა ჩვენს დემოკრატიაზე. განსაკუთრებით საწყენია ის ფაქტი, რომ სწორედ დიუსელდორფის გადაწყვეტილების წინ მოსკოვის ოლიმპიადას მხარი დაუჭირა საფრანგეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და სწორადაც მოიქცა".

„ახლა მოსალოდნელია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სპორტული ურთიერთობის ოთხი „ცივი წელიწადი". ჩვენ, ხელბურთელები განსაკუთრებით ვართ ნაწყენი ამ გადაწყვეტილებით, რამდენადაც ჩვენი უძლიერესი მეტოქეები სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები არიან", — განაცხადა ხელბურთელთა გერმანული კავშირის პრეზიდენტმა ბ. ტილემ.

გფრ-ის სპორტის განვითარების ხელშემწყობი ფედერალური კომიტეტის დირექტორმა პ. მაიერმა თქვა: „ახლა პერსპექტივებს ვერ ვხედავ ქვეყნის დიდი სპორტისთვის. თუ გვსურს მაღალი მაჩვენებლების მიღწევა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, უფლება არა გვაქვს უარი ვთქვათ სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებთან შეჯიბრებაზე".

მთელი რიგი გაზეთები და, კერძოდ, „ბრაუნშვეიგერ ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ „სპორტის წარმომადგენლები არსებითად შეეწირნენ განსაკუთრებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას".

„დიუსელდორფის გადაწყვეტილების ტრაგიზმი, — აღნიშნავს „ნორძეე ცაიტუნგი", — იმაში გამოიხატება, რომ მთავარი მსხვერპლი არიან სპორტსმენები, რომელთა უმრავლესობა ბოიკოტის წინააღმდეგი იყო და რომელთაც ვერ იხილეს თავიანთი მრავალწლიანი მზადების ნაყოფი". „გფრ-ის სპორტმა დაკარგა შესაძლებლობა ხელი შეუწყოს მშვიდობის საქმეს!", — მოჰყავს გაზეთს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ვ. დაუმეს სიტყვები, რომელიც მან თქვა კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ დიუსელდორფში. (საქდესი).

ეს უსამართლობაა!

სან-ფრანცისკო. თეთრი სახლის ბინძური ანტიოლიმპიური კამპანიის წინააღმდეგ გამოვიდა გამოჩენილი ამერიკელი მოციგურავე, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ერიკ ჰაიდენი. „თუ ამერიკის გუნდში შევძლებდი მოხვედრას, არაფერს დავზოგავდი მოსკოვში ჩასვლისთვის", — განაცხადა ე. ჰაიდენმა ქალაქ სან-დიეგოში (კალიფორნიის შტატი), სადაც იგი მონაწილეობდა აშშ-ის ველოსიპედისტთა ოლიმპიური ნაკრების შესარჩევ შეჯიბრებაში. „დაუშვებელია სპორტში პოლიტიკანების ჩარევა. ჩვენი მთავრობა აქამდე არაფერს აკეთებდა ოლიმპიელებისთვის, ახლა კი ცდილობენ ჩაშალონ ოლიმპიური მოძრაობა. ეს უსამართლობაა," — ხაზგასმით აღნიშნა ე. ჰაიდენმა.

კლაუს ტომსენი მედალზე ოცნებობს

კოპენჰაგენი. მკაცრი რეჟიმი, ყოველდღიური ხუთსაათიანი ვარჯიში აუზში, ტანვარჯიში და გაკვეთილები ბალეტმეისტერთან — ასეთია 20 წლის დანიელი წყალში მხტომელის კლაუს ტომსენის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პროგრამა.

— კოშკიდან საუკეთესო მხტომელთა შეფასება 500-550 ქულაა, — თქვა კლაუსმა. — ჩემი შედეგები ახლა ასე ფასდება — 490-500 ქ. თავს საუკეთესო სპორტულ ფორმაში ვგრძნობ, ვეცდები მოსკოვის ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში ყველაფერი გავაკეთო მაღალი დონის მისაღწევად. განწყობილი ვარ ვიბრძოლო არა მარტო ფინალში გასასვლელად, არამედ ოლიმპიური მედლისთვის. (საქდესი).

არ უნდა ჩაერიონ!

სან-ხოსე. პანამერიკული სპორტული ორგანიზაცია (ოდეპა) გამოვიდა პრეზიდენტ ჯ. კარტერის ადმინისტრაციის მიერ მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტისთვის გაჩაღებული კამპანიის წინააღმდეგ. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ოდეპა-ს XVII კონგრესზე, რომელიც გვატემალაში გაიმართა.

პანამერიკული სპორტული ორგანიზაცია, — ნათქვამია რეზოლუციაში, — მხარს უჭერს ოლიმპიური თამაშების მოსკოვში ჩატარების უზრუნველყოფისაკენ მიმართულ ნაბიჯებს. არ შეიძლება სპორტის არევა პოლიტიკაში. მთავრობები არ უნდა ჩაერიონ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების საქმიანობაში. (საქდესი).

აქ სუსტები არ გამოდიან!

მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების გახსნამდე ცოტაღა დარჩა, მაგრამ ბევრი ჯერ კიდევ ცდილობს და ოცნებობს ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში მოხვედრას. მას კი ადგილი „მზის ქვეშ" განაღდებული აქვს. აპრილის ბოლოს ჩეხოსლოვაკიაში გამართულ კლასიკურ მოჭიდავეთა 1980 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სპეციალისტებისა და მოყვარულებისთვის ცხადი გახდა, რომ კონტინენტის ორგზის ჩემპიონი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ბლაგიძე უკვე დგას ოლიმპიურ ხალიჩაზე და საფიქრალი მხოლოდ ისაა, შეძლებს თუ არა იგი ამ ხალიჩიდან კვარცხლბეკზე ასვლას.

„დინამოს" სტადიონის სამხრეთის ტრიბუნების ქვეშ განლაგებულ 25-მეტრიანი აუზის ნაპირიდან ინტერესით ვაკვირდებოდი, თუ როგორ მიაპობდა ვახტანგი წყლის ზედაპირს.

— კარგად გამოგდის, — ვეუბნები — ეს ხომ არ არის თქვენი პობი?

ვახტანგი წყლიდან ამოვიდა.

— ცურვა ვარჯიშის პროგრამაში შედის. ამას გარდა, ჩემი სოფელი ბაილეთი (მახარაძის რაიონი) ახლოსაა ურეკთან და ქობულეთთან. პატარაობისას ძმებს ხშირად დავყავდი იქ...

რაც შეეხება პობის... ყველაფერი გაირკვა, „ვოლგის" სალონში, სადაც ვახტანგთან და მის მწვრთნელთან, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ჯემალ მეგრელიშვილთან ერთად ჩავსხედით საბაასოდ. იმის მიხედვით, თუ როგორ ეფერებოდა იგი მანქანის საჭეს, ცხადი გახდა: ეს იყო მისი პობი.

— მიყვარს მანქანა, ვოცნებობ მყავდეს საკუთარი. ჯერჯერობით ჯემალი მათხოვებს ხოლმე, თუ დავიმსახურებ.

თავის დროზე ჯემალსა და ვახტანგს მახარაძეში საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ა. თავართქილაძე ავარჯიშებდა. ორივე სპორტსმენი გულთბილად იგონებს მას. ჯემალი ორგზის საკავშირო ჩემპიონია (1971-72 წ. წ.). მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე უძლიერესთა ხუთეულში მოხვდა. 1973 წელს მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონობა მოიპოვა, იმავე წელს მწვრთნელის პროფესიას ეზიარა და ვახტანგ ბლაგიძის მწვრთნელი გახდა. მას შემდეგ ერთად არიან. ამ მეგობრობამ ორივეს სარგებლობა მოუტანა — ერთი გახდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, მეორე — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი და 1980 წლის ოლიმპიური „ოქროს" რეალური პრეტენდენტი.

— ვის თვლი ძირითად მეტოქეებად მოსკოვის თამაშებზე? — ვკითხე ვახტანგს.

უნგრელ სპორტსმენს რაცსს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს რუმინელ ჯინგუს, 1974 წლის ევროპის ჩემპიონსა და კონტინენტის 1980 წლის მეორე პრიზიორს გერმანელ კლაუსს. აგრეთვე, ბულგარელ მლადენოვს. ყველა ძლიერი და საშიში მეტოქეა. მართალია, ევროპის ბოლო ჩემპიონატის ფინალში კლაუსი 40 წამში დავამარცხე, მლადენოვს იქვე, კლაუსთან ორთაბრძოლის 10 წუთის შემდეგ მოვუგე (18:3), რაცსმა ჩემთან ოთხჯერ წააგო: სოფიის „უნივერსიადა-77-ში", 1978 წლის ოსლოს ევროპის ჩემპიონატში, იმავე წელს მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატში და წლეულს გფრ-ში გამართულ კონტინენტის ჩემპიონატზე, მაგრამ მაინც... ოლიმპიადა ოლიმპიადაა! აქ სუსტები არ გამოდიან!

— თამაშების დაწყებამდე რომელიმე შეჯიბრებაში ხომ არ მიიღებ მონაწილეობას?

— არა. ორი კვირით კისლოვოდსკში მივემგზავრები, შემდეგ ალუშტაში, ხოლო საბოლოო წინაოლიმპიური სამზადისი გვექნება მინსკის გარეუბანში, სტაიკის ოლიმპიურ ბაზაზე. 20 ივლისს მოსკოვში დაიწყება „კლასიკოსთა" დიდი ასპარეზობა. ვნახოთ, ვის გაუღიმებს გამარჯვების ქალღმერთი.

ვ. როსი.

• • •

სურათზე: ვახტანგ ბლაგიძე.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

● ჭადრაკი

მიწერ-მოწერით თამაშში...

დამთავრდა საქართველოს I ჩემპიონატი მიწერ-მოწერით თამაშში, რომელსაც სამტრედიის საჭადრაკო კლუბი (დირექტორი, ოსტატობის კანდიდატი ა. მახატაძე) ხელმძღვანელობდა.

ჩემპიონატმა სტარტი 1978 წელს აიღო და მასში 52 მოჭადრაკე ჩაება. ფინალურ ტურნირში 15 მოჭადრაკე, მათ შორის 3 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი მოიპოვა სამტრედიელმა ოსტატობის კანდიდატმა მ. არჩვაძემ — 13 ქულა. II ადგილზეა ბათუმელი ოსტატობის კანდიდატი ლ. ნეფრონოვი — 11, III — დ. შამუგია (გალი) — 10,5. რომელმაც ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

ამჟამად მიმდინარეობს II ჩემპიონატი, რომელშიც 88 მოჭადრაკე მონაწილეობს.

თ. ქიქავა.

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი მიწერ-მოწერით თამაშში მ. არჩვაძე.

ავტორის ფოტო.

კვლავ ფინალში

გორში დამთავრდა მოსწავლეთა 31-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრება, რომელშიც აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 16 გუნდი მონაწილეობდა (თითოეულში 4 ჭაბუკი და 2 გოგონა).

შეჯიბრება ორ ქვეჯგუფში ჩატარდა. გამარჯვებული კოლექტივები ერთმანეთს შეხვდნენ ფინალის საგზურისთვის. ერთ ქვეჯგუფში გაიმარჯვა კასპის ნაკრებმა (მ. ზაქარაშვილი, თ. კაციაშვილი, ა. ქისიშვილი, ა. სუხაშვილი, მ. ხვთისიაშვილი, მ. მერაბიშვილი, სპორტსკოლის დირექტორი რ. ტყემალაძე), მეორეში აშკარა უპირატესობით — გორის ნაკრებმა (ვ. პოპოვი, თ. მახარაშვილი, ს. კაჯილაშვილი, ზ. ურჯუმელაშვილი, ს. ქასოშვილი, ა. ეფრემიძე, მწვრთნელი შ. თოთლაძე).

ამ გუნდების გადამწყვეტ შეხვედრაში გაიმარჯვეს გორელებმა — 5:1.

ამრიგად, სპარტაკიადის ფინალურ ტურნირში, რომელიც 10-21 ივლისს ზუგდიდში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, ცხაკაიას, სამტრედიისა და გორის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდები.

ს. მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.

უნივერსიტეტის ჩემპიონები

სტარტი 12 ოსტატობის კანდიდატმა აიღო, ფინიშზე კი ყველას მიასწრეს ზ. გოთუამ (იურიდიული ფაკულტეტი) და ი. კუზმინმა (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი), რომლებმაც 9-9 ქულა დააგროვეს. გოთუას მეტი პარტია ჰქონდა მოგებული და თბილისის უნივერსიტეტის ჩემპიონის ტიტული მას მიეკუთვნა.

შემდეგ აქაური მოჭადრაკეები სასწავლებლის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ გუნდურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. მოასპარეზე 12 გუნდს შორის უძლიერესი ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის ნაკრები აღმოჩნდა.

მ. დანელია,
თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი.

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, ლენინგრადის „ზენიტის“ წინააღმდეგ გუშინწინდელ მატჩში თბილისის დინამოელებმა შემტევი და, რაც მთავარია, შედეგიანი თამაშით გაახარეს თაყვანისმცემლები, მათ არა მარტო ორი ქულა ჩაიწერეს აქტივში, არამედ მიმდინარე სეზონში ყველაზე დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე.

სურათებზე: გუნდის თამაშს უნარიანად წარმართავდა დინამოელთა ლიდერი ყიფიანი, რომელმაც ჩვეულ ოსტატობასთან ერთად იმპროვიზაცია, ენერგიული და შემტევი ხასიათი დაუპირისპირა მოწინააღმდეგეთ; მოძრავმა და ტექნიკურმა შენგელიამ ბევრი საზრუნავი გაუჩინა „ზენიტის“ დაცვას; 54-ე წუთზე მშვენიერი გარღვევა განახორციელა მინაშვილმა და კარშიც უნაკლოდ დაარტყა; ჩელებაძის მიერ შესრულებული 11-მეტრიანი საჯარიმო მიზანს აღწევს; ყოველი გატანილი ბურთი დიდი სიხარულია!

ჯ. კახრაძის ფოტორეპორტაჟი.

43 სსრ კავშირის ჩემპიონატი

გუშინ მოსკოვში შედგა სსრ კავშირის 43-ე საფეხბურთო ჩემპიონატის VIII ტურის ბოლო მატჩი ადგილობრივ ცსკა-სა და ბაქოს „ნეფთჩის“ შორის.

მატჩი დამთავრდა ფრედ —0:0.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 18 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	8	5	2	1	11—2	12
„დინამო“ თბ.	8	4	3	1	14—5	11
„დინამო“ კ.	8	4	2	2	15—9	10
„ზენიტი“	8	4	2	2	11—11	10
ასკ რ.	8	3	4	1	10—6	10
„დინამო“ მ.	8	3	3	2	8—7	9
„ფახტაკორი“	8	3	3	2	9—6	9
„დინამო“ მნ.	8	2	5	1	9—5	9
„არარატი“	8	2	5	1	7—6	9
„ჩერნომორ.“	8	2	4	2	4—5	8
„შახტიორი“	8	2	3	3	10—11	7
„ლოკომოტ.“	8	2	3	3	8—8	7
„ტორპედო“	8	2	3	3	3—5	7
ცსკა	8	2	2	4	5—12	6
„ყუბანი“	8	1	4	3	6—7	6
„ქაირათი“	8	1	4	3	8—13	6
„კარპატი“	8	1	2	5	5—16	4
„ნეფთჩი“	8	0	4	4	3—12	4

ბელგრადის „სპორტის“ აზრით

ბელგრადის „სპორტმა“ შეადგინა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის სიმბოლური ნაკრები გუნდები იმ ფეხბურთელთაგან, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბოლო 20 წლის განმავლობაში.

ევროპა: ბენქსი (ინგლისი), ფაკეტი (იტალია), ფოგტსი (გფრ), მური (ინგლისი), ბეკენბაუერი (გფრ), კროლი (ჰოლანდია), ბესტი (ჩრ. ირლანდია), კრუიფი (ჰოლანდია), გერდ მიულერი (გფრ), ეუსებიო (პორტუგალია), ჯაიჩი (იუგოსლავია).

სამხრეთ ამერიკა: მაზურკევიჩი (ურუგვაი), კლოდოალდო (ბრაზილია), ედუ (ბრაზილია), კარლოს ალბერტო (ბრაზილია), პერფიუმო (არგენტინა), არტიმე (არგენტინა), გარინჩა (ბრაზილია), კემპესი (არგენტინა), სპენსერი (კოლუმბია), პელე (ბრაზილია), რიველინო (ბრაზილია).

21-26 მაისს

აშშ-ში ტარდება საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც „ტრანსატლანტური თასი“ ეწოდება. მასში მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ის ლიგის ჩემპიონი „ვანკუვერ უაიტკეპსი“, ნიუ-იორკის „კოსმოსი“, ლონდონის „არსენალი“ და იტალიის „რომა“.

ვის ანიჭებენ უპირატესობას?

ლონდონელი ბუკმეკერები ევროპის ჩემპიონატის წინ უპირატესობას იტალიელებს ანიჭებენ (9:4), შემდეგ მოდიან გფრ-ის ნაკრები (5:2), ჰოლანდიელები (7:2) და ინგლისელები (11:2).

სრულ აუტსაიდერად მიაჩნიათ საბერძნეთის ნაკრები (100:1).

მოკლედ

არგენტინის ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა გამართა ირლანდიაში და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა ვალენსიამ.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰოლანდია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიას იტალიაში თავისი მარჯვენა გარემარბის ჩე ლალინგის გარეშე დაიწყებს. ლაიპციგში გდრ-ის ნაკრების წინააღმდეგ თამაშის დროს მას დაატოვებინეს მინდორი, რის გამოც დისკვალიფიცირებულია 3 მატჩით. იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს საბერძნეთის, გფრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების წინააღმდეგ თამაშებში.

მაიკლ ენგლანდი, რომელსაც 44-ჯერ ეცვა უელსის ნაკრების ფორმა, მოწვეულია ამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად. იგი დიდი ხნის განმავლობაში თამაშობდა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“.

ბობი მური, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონის — ინგლისის ნაკრების კაპიტანი, მიწვეულია ჰოლივუდში საფეხბურთო ფილმში გადასაღებად.

ტერი მაკდერმოტი („ლივერპული“) დაასახელეს წლის საუკეთესო მოთამაშედ ინგლისში. გამოკითხვაში „წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი“ ხმების უმრავლესობა მიიღო „ტოტენჰემ ჰოტსპურის“) ნახევარმცველმა გლენ ჰოდლმა.

ბრაზილიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ტელე სანტანამ საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად მოუხმო 17 ფეხბურთელს. სიაში არ არის ნაკრების მეკარე ლეაო, გუნდში დააბრუნეს კარლოსი, ამ სიაშია 21 წლის ახალბედა მცველი ლუზინიო სან-პაულუს „პონტე პრეტადან“.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ინგლისის თასი — „ვესტჰემ იუნაიტედს“

ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ინგლისის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „არსენალი“ და „ვესტჰემ იუნაიტედი“, რომელიც ახლა მეორე ლიგაში გამოდის.

მატჩი მოიგო „ვესტჰემ იუნაიტედმა“ — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი ნაკრების ყოფილმა წევრმა ბრუკინგმა გაიტანა მე-14 წუთზე.

„სელტიკის“ გამარჯვება

გლაზგოში შოტლანდიის თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — „სელტიკი“ (გლაზგო) და „გლაზგო რეინჯერსი“.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „სელტიკმა“ და ოცდამეექვსედ დაეუფლა შოტლანდიის თასს. ერთადერთი ბურთი დამატებით დროში გაიტანა მოკლოსკიმ.

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

ასკ (თბილისი) — „მზიური“ (გალი) 0:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

გალელებმა პირველ ტაიმში გაიტანეს ბურთი მეტოქის კარში (ბარამია). არმიელები შემდგომში ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

„ავიატორი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 0:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).

სპარტაკელებს გამარჯვება მოუტანა თ. ძაგოევის მიერ გატანილმა გოლმა.

„სულორი“ (ვანი) — „ივერია“ (ხაშური) 4:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

ვანელმა ფეხბურთელებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს თამაში. ამჯერადაც ხარაბაძემ (2), ნეფარიძემ და გეფერიძემ 4 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში.

„მეშახტე“ (ტყიბული) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი ა. ჭანანაშვილი (თბილისი).

ბურთი გაიტანა ხუცურაულმა.

„მერცხალი“ (მახარაძე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

მასპინძელთაგან 2 ბურთი გაიტანა გუჯაბიძემ, ერთი — მუკბანიანმა. საპასუხო გოლი ეკუთვნის ხასიას.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:2. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

მასპინძელთა მხრივ ბურთები გაიტანეს ყურუამ, ბართიამ და ვოგოძემ, სტუმართაგან — ჭითანავამ და გუნიამ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მზიური“	11	10	0	1	17—5	20
„კოლხეთ“.	10	7	2	1	12—2	16
„სულორ“.	11	5	5	1	22—14	15
„იმერეთი“	10	5	4	1	23—13	14
„მეტალ.“	10	5	3	2	14—11	13
„მერცხ.“	11	4	5	2	17—14	13
„მეშახტე“	11	4	4	3	16—13	12
„ენერგ“.	10	4	3	3	6—5	11
„ამირანი“	11	3	5	3	11—10	11
„კახეთი“	9	2	6	1	13—8	10
„ავიატ“.	11	3	4	4	16—16	10
ფიზ. ინსტ.	11	2	5	4	22—23	9
„სქური“	9	4	1	4	10—12	9
„მალარ“.	10	2	5	3	9—11	9
„სალხინო“	11	3	3	5	18—25	9
„სპარ.“ ცხ.	11	3	2	6	11—13	8
„მადნ.“	10	2	4	4	14—18	8
ასკ თბ.	11	2	4	5	11—15	8
„ივერია“	11	3	2	6	11—19	8
„სპარ.“ თბ.	8	2	2	4	8—14	6
„ქართლი“	11	2	1	8	11—19	5
„ეგრისი“	10	1	2	7	6—18	4

საქართველოს ჩემპიონატი

II ჯგუფი

I ზონა

„ალგეთი“ (მარნეული) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 4:0, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „განთიადი“ (კასპი) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „არმაზი“ (მცხეთა) 4:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „ავტომობილისტი“ (თბილისი) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:1, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „განახლება“ (ადიგენი) 1:4, „მევენახე“ (ვაზისუბანი) — „ფიჩხოვანი“ (ქვემო ალვანი) 3:0, „არაგვი“ (დუშეთი) — „აბული“ (ახალქალაქი) 6:2, „იბერია“ (ქარელი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 4:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დურუჯი“	8	6	1	1	15—3	13
„ავტომ“.	8	5	2	1	15—6	12
„ჰერეთი“	8	5	2	1	12—5	12
„ალგეთი“	8	5	1	2	17—6	11
„განახლება“	8	5	1	2	15—7	11
„ვარძია“	8	5	1	2	14—8	11
„არაგვი“	7	3	4	0	16—9	10
„განთიადი“	8	5	0	3	16—12	10
„ჩამომსხმ.“	8	4	1	3	10—10	9
„იბერია“	7	3	2	2	12—10	8
„ფიჩხოვ“.	8	3	2	3	16—16	8
„არმაზი“	8	2	3	3	4—9	7
„მესხეთი“	7	3	0	4	11—15	6
„აბული“	8	1	3	4	12—16	5
„გარეჯი“	7	2	1	4	6—13	5
„ალაზანი“	8	1	3	4	7—14	5
„თრიალ“.	8	2	0	6	7—15	4
„ცისკარი“	8	1	2	5	12—21	4
„ვაზისუბ“.	8	1	1	6	7—16	3
„გარისი“	8	1	0	7	8—21	2

II ზონა

„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:1, „ტურისტი“ (ბათუმი) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 0:0, „ხვამლი“ (ცაგერი) — „მექალაქე“ (ზუგდიდი) 2:1, „გიგანტი“ (ლაითური) — „ოჯალეში“ (ბანძა) 3:2, „შუქურა“ (ქობულეთი) — „ტეხურა“ (დიდი ჭყონი) 2:1, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „რიწა“ (გუდაუთა) 1:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 1:0, „დინამო“ (ქუთაისი) — „სენაკი“ (ცხაკაია) 1:0, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 2:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „განთიადი“ (აბაშა) 2:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩიხურა“	8	6	2	0	22—6	14
„ლაითური“	8	6	2	0	19—7	14
„შუქურა“	8	6	2	0	14—7	14
„ბახმარო“	7	5	1	1	15—6	11
„კოლმეურ.“	8	4	2	2	16—8	10
„რიწა“	8	4	2	2	18—12	10
„შახტიორ.“	8	4	1	3	13—9	9
„მექალ“.	8	2	4	2	17—13	8
„დინამო“	8	3	2	3	17—14	8
„განთიადი“	8	2	3	3	13—12	7
„ნაკად.“	8	3	1	4	11—13	7
„ტეხურა“	8	2	3	3	12—21	7
„ნარუჯა“	8	2	2	4	11—11	6
„ავტომ“.	8	2	2	4	10—11	6
„ტურისტი“	6	1	3	2	6—8	5
„ხვამლი“	7	2	1	4	6—15	5
„სამგურ“.	8	2	1	5	10—19	5
„ოჯალ“.	8	2	1	5	10—24	5
„სენაკი“	8	1	2	5	7—12	4
„მეშაქრე“	8	0	1	7	9—28	1

საჯარიმო დარტყმა

გაფრთხილებული არიან ცხინვალელები ა. ცხოვრებოვი და ა. ქოჩიევი, აგრეთვე, ოჩამჩირელი ო. ძალამიძე.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

ქრონიკა

● კალათბურთი

იტალიელებიც დამარცხდნენ

ევროპის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების წინაოლიმპიურ ტურნირში, რომელიც ჟენევაში დასასრულს უახლოვდება, მორიგი ტური სენსაციებით აღინიშნა: აუტსაიდერმა — შვეციის ნაკრებმა ესპანეთის გუნდს მოუგო — 87:86, იტალიის ნაკრები, რომელსაც მანამდე წაგება არ ჰქონდა, დამარცხდა ისრაელის გუნდთან — 98:99. დანარჩენი ორი მატჩი ასე დასრულდა: საფრანგეთი — პოლონეთი 90:78, ჩეხოსლოვაკია — გფრ 84:79.

ასპარეზობის დამთავრებამდე დარჩა 2 ტური. მოსკოვის ოლიმპიადის საგზურის მოპოვების ყველაზე მეტი შანსი აქვთ იტალიელებს, რომლებიც 9 ქულით ლიდერობენ. მათ თითო ქულით ჩამორჩებიან ესპანეთის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთისა და ისრაელის კალათბურთელები. პოლონელებს 7 ქულა აქვთ. გფრ-ისა და შვეციის სპორტსმენებს — 6-6.

● ჭადრაკი

გოგონა უგებს ოსტატს

წულუკიძე, 17 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს ქალთა 36-ე ჩემპიონატის ფინალში IV და V ტურის შეხვედრები გაიმართა.

IV ტურში ი. აბზიანიძემ (ქუთაისი) სძლია თბილისის ჩემპიონს რ. გეგიძეს, ც. კახაბრიშვილმა — ნ. მუსერიძეს, გ. ალიხანაშვილმა — მ. თანდაშვილს, ც. კობაიძემ (ყველა — თბილისი) — ი. ამბროლაძეს (ქუთაისი) და ც. ქასოშვილმა (გორი) — ე. ფახიროვას (ქუთაისი). დაზავდნენ: ლ. სადუნიშვილი — ნ. მელაშვილი, თ. ჭანტურია (სამივე — თბილისი) — ი. კურცხალია (ქუთაისი). თ. ხუგაშვილი — ქ. მელაშვილის (ორივე — თბილისი) პარტია გადაიდო.

V ტურში ნორჩმა პირველთანრიგოსანმა კურცხალიამ ეფექტური იერიშით დაამარცხა ოსტატი ხუგაშვილი. პირველი მარცხი იწვნია, აგრეთვე, კახაბრიშვილმა გეგიძესთან შეხვედრაში. სადუნიშვილმა მოუგო მუსერიძეს, თანდაშვილმა — ამბროლაძეს და ალიხანაშვილმა — ფახიროვას. გაიმარჯვეს დებმა მელაშვილებმა: ქეთევანმა — ქასოშვილთან, ნინომ — ჭანტურიასთან.

აბზიანიძემ უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია კობაიძესთან.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ლ. სადუნიშვილი — 3,5 ქულა, ი. აბზიანიძე, გ. ალიხანაშვილი — 3-3 ქულა და თითო გადადებული პარტია, ც. კახაბრიშვილი, ქ. და ნ. მელაშვილები — 2,5-2,5 (1-1).

ზ. ბურკაძე,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ლარსენმა ტემპს უმატა

ბუგოინოს (იუგოსლავია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირში მორიგი შეხვედრები მოეწყო.

კვლავ გაიმარჯვა ბ. ლარსენმა (დანია), ამჯერად აშშ-ის წარმომადგენელ ლ. კოვალექთან. ყაიმით დამთავრდა ა. კარპოვ—ლ. პოლუგაევსკისა და მ. ტალ—უ. ანდერსონის (შვეცია) შეხვედრები.

6 ტურის შემდეგ ლარსენს 4,5 ქულა აქვს, ი. ტიმანს (ჰოლანდია) — 3,5 (1), პოლუგაევსკის — 3,5, ტალს და ლ. ლიუბოევიჩს (იუგოსლავია) — 3-3, კარპოვს, ანდერსონსა და ბ. ივკოვს (იუგოსლავია) — 2,5-2,5 (1-1).

● მძლეოსნობა

რეკორდი ლესელიძეში „დაიბადა“

ლესელიძეში ხანმოკლე საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან საბჭოთა მძლეოსნები, რომლებიც აქ მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან.

საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის თასის ტრადიციულ გათამაშებაში განსაკუთრებით წარმატებით გამოვიდნენ კიეველი უროს მტყორცნელები ოლიმპიური ჩემპიონი ი. სედიხი და ი. ტამი. მათ სამჯერ გააუმჯობესეს დასავლეთ გერმანელი სპორტსმენის კ.-ჰ. რიმის მსოფლიო რეკორდი.

ამ ორი გოლიათის დავა იმით დაიწყო, რომ პირველ ცდაზე სედიხმა 78,30 მ აჩვენა, ტამმა — 78,82. შემდეგ ცდაზე სედიხის ურომ 79,60 მ „იფრინა“, ტამისა 10 სანტიმეტრით შორს დაეცა. უკვე მესამე ცდაზე სედიხმა 6 სანტიმეტრით გადაამეტა რომის აღრინდელ მიღწევას, როცა მისი ნატყორცნი ურო 80,38 მეტრზე დაეცა. ვალში არც ტამი დარჩა — 80,46. საბოლოოდ გამარჯვება სედიხს დარჩა — მეოთხე ცდაზე მის მიერ ნაჩვენები შედეგი — 80,64 მ მიუწვდომელი აღმოჩნდა.

ფინელების „სახელმწიფო გამოცდები“

ფინეთის მძლეოსნების წინაოლიმპიურ „სახელმწიფო გამოცდად“ გადაიქცა ჰიამენლინში გამართული ჩემპიონატი კროსში, რომლის სტარტზე 90 სპორტსმენი გამოვიდა. აქ ძალებს ამოწმებდნენ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლ. ვირენი, 10000 მეტრზე რბენაში კონტინენტის ჩემპიონი მ. ვაინიო, წამყვანი სტაიერი კ. მანინკა და სხვანი. ამ შეჯიბრებამდე ვირენი მოსკოვის თამაშებისთვის მზადების პროგრამით სხვადასხვა სტარტებში მონაწილეობდა და წარმატებითაც: კოლუმბიის ქალაქ სან-ანდრესში მოიგო 14,5 კმ-ზე ასპარეზობა — 44.16, ხოლო შემდეგ ნიუ-იორკში 10-კილომეტრიან კროსში იმარჯვა — 29.13.

შინ კი მას 15 კილომეტრზე რბენაში აჯობა მანინკამ — 45.21. ეს ამ სპორტსმენის ზედიზედ მესამე გამარჯვებაა ეროვნულ კროსში. მომდევნო ადგილები ერგოთ ვაინიოსა (45.46) და ვირენს — 46.10.

● ველოსპორტი

ლიდერი პოზიციას ინარჩუნებს

მშვიდობის 33-ე ველორბოლის VI ეტაპზე, რომლის სიგრძე ფორსტიდან ბერლინამდე 197 კმ-ს უდრიდა, საბჭოთა ნაკრებმა იმარჯვა, ხოლო პირადში უძლიერესი იყო ო. ლიუდვიგი (გდრ) — 4:47.23.

ექვსი ეტაპის შემდეგ ლიდერები — ი. ბარინოვი — 26:39.10 და საბჭოთა ნაკრები — 79:58.47 პოზიციებს ინარჩუნებენ.

● ძიუდო

ტაქტიკამ არ გაამართლა

ვიტყობინებოდით, რომ ვენაში „შტადტჰალეს“ სპორტის სასახლეში მიმდინარე ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატში თბილისელმა რ. ხარშილაძემ 95 კგ-მდე წონითი კატეგორიის ათლეტებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მისი პირველი მეტოქე გახლდათ ამ წონაში მასპინძლების ერთადერთი იმედი — ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორი რ. კოსტენბერგერი. რამაზმა შეძლო მისი დამარცხება. მერე ინგლისელ მ. ჰატინდენს მოუგო და 12 ფინალისტში შევიდა, სადაც მას მთავარი მეტოქენი ჟ.-ლ. რუჟე (საფრანგეთი) და დ. ლორენცი (გდრ) ელოდნენ.

ხარშილაძე თავის მეხუთე ბრძოლას ნახევარფინალში ლორენცთან ატარებდა, მაგრამ ამჯერად მისი ლოდინის ტაქტიკა ახლა თვითონვე შემოუბრუნდა — მსაჯებისგან შენიშვნა [illegible], რამაც შეხვედრის ბედი ლორენცის სასარგებლოდ გადაწყვიტა. იგი ფინალ[illegible] ძემ დამა[illegible] მოუგო ჩეხოსლოვაკიელ ი. ნიკო[illegible]დინს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ 86 კგ წონით კატეგორიაში რიგელ ა. იაცკევიჩმა ფინალში ადვილად დაამარცხა ჰ. ზაისენბაჰერი (ავსტრია) და კონტინენტის ჩემპიონის სახელი დაიბრუნა. 78 კგ წონაში ოქროს მედალი ერგო ნ. ადამსს (დიდი ბრიტანეთი).

● ძალოსნობა

ჯერჯერობით საუკეთესო

75 კგ წონითი კატეგორიის სპორტსმენთა პრიზიორები საკავშირო შეჯიბრებაზე წინა ნომერში გაგაცანით. ახლა დავუმატებთ, რომ ამ წონაში სოფლის სპორტსაზოგადოების ნაკრების სახელს იცავდა საჩხერელი ოსტატი ა. ჩიტაძე, რომელმაც მოსკოვში 320 კილოგრამი მოაგროვა და IX ადგილი მოიპოვა. ამ ჩემპიონატში საქართველოს სპორტსმენთაგან ჩიტაძეზე უკეთ ჯერჯერობით არავინ გამოსულა.

დავა დაამთავრეს 90 კგ წონის სპორტსმენებმა. ოქროს მედალი ერგო ვ. ილინს, რომელმაც ორჭიდში 377,5 კილოგრამი (170+207,5) მოაგროვა. მეორე ადგილზეა ა. ალტუევი — 375, მესამეზე — ვ. კრასნობაევი — 370.

მკითხველის თხოვნით

3. ესპანეთი

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის წინ

ევროპის პირველობის III შესარჩევი ჯგუფი (ესპანეთი, იუგოსლავია, რუმინეთი, კვიპროსი) 3 მეტნაკლები ფავორიტითა და ერთი სუსტი ნაკრებით იყო დაკომპლექტებული. ესპანელებმა 3 რიგითი მოგებით (იუგოსლაველებთან სტუმრად — 2:1, რუმინელებთან — 1:0, კვიპროსელებთან — 5:0) დაიწყეს ტურნირი, და, თუმცა შემდეგ არათანაბრად თამაშობდნენ (იუგოსლაველებთან შინ წააგეს — 0:1), მაინც შეძლეს იუგოსლაველთა ჩამოტოვება ერთი ქულით.

ამ წარმატებამდე ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ლ. კუბალა პრესის წარმომადგენლებთან ლაპარაკობდა:

— ჩვენთვის მთავარია 1932 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ღირსეულად მომზადება. ამიტომ ევროპის ახლანდელი პირველობა მხოლოდ ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპად მიგვაჩნია. ჩვენმა ჭაბუკმა მოთამაშეებმა აქ სათანადო გამოცდილება უნდა მიიღონ, რათა შემდეგ მსოფლიო პირველობაზე ისახელონ თავი.

მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია. ახლა კუბალა ასეთ განცხადებებს აღარ აკეთებს. პირიქით, მას მიაჩნია, რომ ესპანელებს სავსებით ძალუძთ იტალიაშიც წარმატებით გამოვიდნენ და იბრძოლონ მედლებისთვის. კერძოდ, იგი კმაყოფილი დარჩა ევროპის პირველობის მონაწილეთა კენჭისყრის შედეგებით და მიაჩნია, რომ მის გუნდს საფუძველი არა აქვს ეშინოდეს იტალიელებისა, რომლებიც თავიანთ მინდორზე ნერვიულად გრძნობენ თავს მრავალრიცხოვანი „ტიფოზების“ წინაშე.

მწვრთნელის ოპტიმალური განცხადების მიუხედავად, ახლა ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ ესპანელებს არაერთი პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი. ნაკრები აშკარად არათანაბრად თამაშობს.

მას შემდეგ, რაც გასული წლის მიწურულს ესპანეთის ნაკრები, რომელიც ძირითადად ვეტერანებისგან შედგებოდა, თავის მინდორზე კადიქსში მოულოდნელად დამარცხდა (1:3) დანიელებთან. მადრიდის ერთი გაზეთი წერდა, ჩვენს გუნდს ტემპი და ცეცხლი აკლიაო. კუბალა დარწმუნდა, რომ ის შემადგენლობა, რომელმაც ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა, იტალიაში აღარ გამოადგებოდა, ამიტომ შეუდგა ნაკრების გადახალისებას.

წლეულს 23 იანვარს ესპანელებმა ვიგოში ანგარიშით 1:0 სძლიეს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს — ჰოლანდიელებს. მადრიდის გაზეთები წერდნენ, რომ კუბალას გადაწყვეტილებამ, გუნდში შეეყვანა ახალგაზრდები, სათანადო ნაყოფი გამოიღო. მათ საკმაოდ გამოაცოცხლეს თამაში, ბოლომდე ენერგიულად ებრძოდნენ გამოცდილ მეტოქეებს, მაგრამ უკვე მომდევნო თამაშებმა ცხადყო, რომ თვითდამშვიდება, ცოტა არ იყოს, ნაადრევი იყო. ესპანელები შინ ჯერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან დამარცხდნენ (0:1), შემდეგ კი ინგლისელებთან (0:2).

კუბალა, რომელიც გუნდს 1969 წლის ივლისიდან წვრთნის, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ევროპის პირველობის ფინალი კარზეა მომდგარი, მწვრთნელს ახლა სასტიკად აკრიტიკებენ და მისგან გუნდის თამაშის გაუმჯობესებას მოითხოვენ.

მეკარეებს კუბალა ვერ დაემდურება. როგორც მრავალნაცადი მიგელ ანხელი (მადრიდის „რეალი“), ისე ახალგაზრდა არკონადა (სან-სებასტიანის „რეალი“), სავსებით საიმედოდ თამაშობენ. მას შემდეგ, რაც ესპანეთის 1979-80 წლების ჩემპიონატში თავი გამოიჩინა „რეალმა“ (სან-სებასტიანი), კუბალამ მისი კიდევ რამდენიმე მოთამაშე მიიწვია, მათ შორის განაპირა მცველები კელაიეტა და გორდილო. კუბალა ორივეს მეტად პერსპექტიულ, მაგრამ ნაკლებად გამოცდილ ფეხბურთელებად თვლის და აპირებს ივნისამდე დარჩენილ დროში მათ კიდევ რამდენიმე საკონტროლო მატჩში მიაღებინოს მონაწილეობა. რაც შეეხება დაცვის ცენტრს, აქ საიმედოდ მოქმედებს წყვილი „ბარსელონადან“ — ოლმო და მიგუელი.

შუა ხაზზე უკვე მრავალი წელია შეუცვლელად ითვლება გუნდის დირიჟორი ასენსი. თუ რაიმე მიზეზის გამო ასენსი (იგი „ბარსელონაში“ გამოდის) არ თამაშობს, ნაკრების სამოქმედო გეგმა სრულიად უფერულდება. ახლა კუბალამ შეცვალა ასენსის ორივე გამოცდილი პარტნიორი — დელ ბოსკე და ვილარი, მასთან ახალგაზრდები საურა („ვალენსია“) და ზამორა (სან-სებასტიანის „რეალი“) შეათამაშა. ახალგაზრდებს „შავი სამუშაოს“ შესრულება ევალებათ, ასენსის კი ძველებურად უკავია „დირიჟორის ჯოხი“.

მიიჩნევენ, რომ თავდასხმაში უძლიერესი სამეული ასე გამოიყურება: ხუანიტო — სანტილიანა (ორივე — მადრიდის „რეალიდან“) — კარასკო („ბარსელონა“). 25 წლის ხუანიტოს, რომელიც ესპანეთში, უდავოდ, უძლიერეს მარჯვენა გარემარბად ითვლება, ნაკრებში მხოლოდ 13 მატჩი აქვს ჩატარებული. ეს შედარებით მცირე რიცხვი აიხსნება იმით, რომ ხუანიტო უდისციპლინობის გამო ფიფა-ს მიერ ორჯერ იყო ხანგრძლივად დისკვალიფიცირებული და მხოლოდ ახლა მოეხსნა სასჯელი. როგორც ბერლინის ჟურნალი „დი ნოიე ფუსბალვოხე“ იუწყება, ხუანიტო ამჟამად კარგად თამაშობს და გდრ-ის ნაკრების მრავალნაცად მცველს ვაიზეს ძალები დიდი დაძაბვით დასჭირდა მასთან თამაშში. მარჯვენა გარემარბი კარგად არის შეთამაშებული ცენტრალურ თავდამსხმელ სანტილიანასთან. 27 წლის სანტილიანას, ესპანეთის ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო სნაიპერს, ნაკრებში 22 მატჩი აქვს ჩატარებული. კუბალას აღმოჩენად ითვლება 20 წლის კარასკო. იგი მეტისმეტად სწრაფი, თამამი, ენერგიული გარემარბია, დაცვას სისტემატურად უქმნის პრობლემებს. კუბალას მიაჩნია, რომ კარასკო ჯერჯერობით მაინც ძალზე ინდივიდუალურად თამაშობს და საერთო ენას ვერ პოულობს სხვა თავდამსხმელებთან. ამ სამეულს გარდა იტალიაში გაემგზავრებიან ლიგის საუკეთესო სნაიპერი კინი (ხიხონის „სპორტინგი“) და მსოფლიოს წინა ჩემპიონატის მონაწილე დანი („ბარსელონა“).

თუ თვით კუბალას ოპტიმისტურ განცხადებებს არ გავითვალისწინებთ, ახლა ესპანელებს ევროპის ჩემპიონატის წინ არავინ თვლის ფავორიტებად. მომავალი გვიჩვენებს ვინ არის მართალი — კუბალა თუ მრავალრიცხოვანი მიმომხილველები.

გ. თორელი.

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-20 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6-49“-დან:

პირველი: 12 (წყალსამოტორო სპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 26 (მოტობურთი), 27 (მოტოსპორტი), 30 (აფროსნობა), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 43 (ფარიკაობა).

მეორე: 5 (ბადმინტონი), 16 (ტანვარჯიში), 18 (რიკაობა), 36 (სლალომი), 43 (ფარიკაობა), 49 (შაში). შეღავათიანი ბურთულა — 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა).

„სპორტლოტო 5-36“-დან:

პირველი: 6 (კლასიკური ჭიდაობა), 7 (ველოტრეკი), 8 (საგზატკეცილო ველორბოლა), 28 (მშვილდოსნობა), 36 (ჰოკეი).

მეორე: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 9 (წყალბურთი), 10 (ფრენბურთი), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 33 (ფიგურული სრიალი). (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის „ბურევესტნიკის“ ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სკოლა

აცხადებს

1963-1967 წწ დაბადებული ბიჭებისა და ჭაბუკების მიღებას.

კონკურსი ჩატარდება 21-22-23 და 27-28-29 მაისს 15 საათიდან კიროვის სახ. პარკის სპორტთამაშობათა მოედანზე.

მსურველებს თან უნდა ჰქონდეთ დაბადების მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა, სპორტული ფორმა.

კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. შარაშიძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ჯ. ბაგრატიონი და გ. მაჭავარიანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი ა. ანპილოგოვი, სპორტის საპატიო ოსტატი ჯ. აბაშვილი.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში სკოლისთვის სოფელ ურეკში მოეწყობა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი.

„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 02186